

K 1816  
la



ՍԵՐՎԱՐԻԸ ԾԱ ԲԱՄԵՔԱ ՈԱԿՌՁ ԹՇՄՈՒԼՈՍԱ, ՑՅՑԵՇԱ  
ՄՈՍ ԾԱ ՈՌԱԵԲ ԹԱԵԱՀՐԾՑԵԼՈՍ ՀՅՈՍ.



մուրա մուրոյլո օակոծո ոստ մեծառու-  
րուս նցեցեց և սալոմյը Մվոլո. Սա-  
լոմյա սուլուսու օստ օմ օուսեծոսա, հռոմյու-  
տանապ մուծարոյթուլո օստ պաշտագ թմուրա  
լուտուս-մմոծելո. օակոծո օստ պաշտոսո միա  
թմ. օուանց լուտուս մեթպաշտուսա և ռուզը  
միւծո մամաս յեմարոյթունց պաշտու սայմեշո.  
ռուզընո պաշտուսացան մոթունց պաշտու ոյմնցն օմ  
խորոս, հռուրա օսոնո տցչառոծնցն. տցուտոն  
պաշտու ամ դրոս աելուգ գամուսուլո օստ եալ-  
քշո սայյալաց պաշտու. պաշտումա ոյսո յրուս թյա  
գայարա պաշտու օմ թիւստան և դաստան տցչ-  
չուս նագուրուսա պաշտունո մետցչառունո. ամ  
դրոս պաշտումա նազշո մպուտուս սոմոն քեթրյէ  
ելուտ մուսելունա սասիւլո: մուսելուտ պաշտու-  
գայթուլո ծագուս մությա ըութալո տցչո. այս-  
մու կո մտցու լամբ գայթարոյթունատ և զերա  
լայքուրուտ ռա. ամուս մեթուց պաշտումա պաշտունա  
քեթրյէս և անգուրուս, հռուրա պաշտունունցն  
մաս. օմատ մասլունուլու պաշտումա դաստան նազ-  
շո սեցա ռուրու միւծո օակոծո լուսունց օմատ  
մամա նցեցեցտան յրտագ և ռուզըս թու-  
թունա. օմատապ մաշոնց դաշությաց մամա մատո

ნავში სხვა მეთევზურებთან და გაჰყვნენ  
უფალს, (ლუკ. 5, 1—11 მარკ. 1, 16; მათ.  
4, 18—22). ამ დროდამ ორივე ძმები აღარ  
მოშორებიან უფალს და შერაცხილ იქმნენ  
თორმეტ მოციქულთა შორის.

მოციქულებად არჩევის დროს იაკობს  
და იოანეს სხვებზე უფრო მხურვალე გულს  
მოდგინეობისათვის უფალმა უწოდა მათ „ბა-  
ნერგეს“ ანუ ძედ ქუხილისად (მარ. 3,  
17). წმ. ძმებს მხურვალე გულით უყვარ-  
დათ უფალი. ეს დიდი სიყვარული მათ  
ერთხელ ცხადად გამოიჩინეს. უფალი იე-  
რუსალიმში მიდიოდა დღესასწაულზე და-  
სასწრებლად, წინ მოციქულები წარგზავნა.  
პირდაპირი და მოკლე გზა სამარიაში გადიო-  
და. გავლის დროს მოციქულებს უნდოდათ  
მოემზადებინათ რამ უფლისათვის, მაგრამ  
სამარიის პირველ სოფლებლებმა არ შეიწყნა-  
რეს იგინი. იაკობმა და იოანემ თავიანთ მოძ-  
ლვარის და უფლის გადამატებულის სიყვა-  
რულისა გამო ვეღარ აიტანეს იმისი ასეთი  
დამცირება და უთხრეს: „უფალო! გნებავსა,  
რათა ვსთქვათ, და ცეცხლი გარდამოხდეს ზე-  
ცით და აღხოცნეს იგინი, ვითარცა ილია ჰყო?  
ხოლო უფალმან შერისხნა იგინი და რქვა:  
არა იცით, რომლისა სულისანი ხართ თქვენ“.  
რამეთუ ძე კაცისა არა მოვიდა წარწ-  
ონა და და მედ ცხოვრება.

სიმონ-პეტრესთან ერთად იაკობი და  
იოანე უფლის უდიდეს მოწაფეებად ითვლე-  
ბოდნენ და უფალი სხვა მოციქულებზე  
უაღმატებულესად ამათ უცხადებდა თავის  
საიდუმლოებას. თაბორის მთაზედ თავის დი-  
დების საჩვენებლადაც მხოლოდ ეს სამი:  
პეტრე, იაკობ და იოანე აღიყვანა უფალმა  
(მათ. 17, 1—13; ლუკ. 9, 28—36, მარკ. 9,  
2—15). ესევე სამი მოციქული დაესწრო  
გეთსამანიის ბაღში, როგორ იგი მწუხარე სუ-  
ლით ლოცვას აღავლენდა მამისა მიმართ  
(მარ. 14, 32—42, მათ; 26, 36—46). უთუოდ  
ამ უფლისადმი სულის სიახლოვემ გააპედვი-  
ნა მათ ეთხოვათ უფლისათვის, რომ სასუ-  
ფეველში ერთი მარჯვენით და ერთი მარც-  
ხენით მისსა მსხდარიყვნენ. უფალმა ამხილა  
მათ შეუფერებლობა მათის თხოვნისა და გაუ-  
გებრობა ღვთის სასუფეველისა. ამასთან უწი-  
ნასწარმეტყველა მათ: „სასმელსა, რომელსაც  
მე შევსვამ, თქვენც შესვამთო, ე. ი. ჭირსა  
და განსაცდელს გამოივლით ჩემის სახელისა-  
თვისაო. (მარ. 10, 35—55; მათ. 20, 20—28.)

წინასწარმეტყველება უფლისა სწორედ  
ისე აღსრულდა ორივე ძმებს იაკობსა და  
იოანეზედ. მეორმოცდა-ათე დღეს მოციქუ-  
ლებზე სული წმიდის გარდამოსვლის შემდეგ  
მოციქულმა იაკობმა იწყო სახარების ქადაგება  
სხვა-და-სხვა მხარეს. როგორ იერუსალიმში

დაბრუნდა, ურწმუნო ურიებისათვის ისეთი  
საშიშარი შეიქმნა, როგორც ქუხილი ცისა.  
იაკობმა თავისის მოქმედებით გაამართლა  
უფლისაგან მოციქულად არჩევის დროს „ძედ  
ქუხილისად“ წოდება. მას არათრისა არ  
ეშინოდა, გაბედულად და ცხადად ქადაგებ-  
და, რომ ქრისტე ჭეშმარიტი მესსია ანუ  
სოფლის მხსნელი არისო. იგი საღმრთო წე-  
რილის ძალით ამარცხებდა ფარისეველებსა და  
მწიგნობრებს მათთან კამათობის დროს და  
თან ფიცხლად ამხელდა და აყვედრიდა მათს  
ურწმუნებასა და გულფიცხელობას. მწიგ-  
ნობარ-ფარისეველებმა თვითონ რო ვეღარ  
შესძლეს მოციქულის სიტყვების წინააღმდე-  
გობა და იმისი გამტყუნება, ფული მისცეს  
ერთს გრძნეულს ფილოსოფოსს გერმოგენს  
და სთხოვეს, რომ ის შემბოდა იაკობს სიტ-  
ყვაში და გაეცრუებინა იმისი სწავლა-მო-  
ძღვრება.

გერმოგენი ძლიერ თავის მიმღობი, ზვა-  
ვი და ამპარტავანი იყო. მან დაიქადა ებრაე-  
ლებთან, რომ იაკობი არა თუ მე, არამედ  
ჩემს მოწაფესაც კი ვერ აჯობებსო. ამგვა-  
რად, თავის ცოდნითა და ძალით დაიმედე-  
ბულმა გერმოგენმა, მართლაც თავისი მოწა-  
ფე ფილიტა გაჰვავნა წმ. მოციქულთან. ფი-  
ლიტას უნდოდა შებმოდა მოციქულს ლაპა-  
რა კში, მაგრამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია

იმ სული წმიდის სიბრძნეს, რომელსაც მო-  
ციქული ქადაგებდა; ფილიტას ენა დაე-  
ბა და ერთი სიტყვაც არ უთქვამს მო-  
ციქულის წინააღმდეგ. ამ მდგომარეობა-  
ში მყოფმა მოისმინა მოციქულის სიტყვები,  
სცნო მისი ჭეშმარიტება, გულ-ლმობიერიქმნა  
და მოიქცა. შემდეგ დაბრუნდა თავის მასწავ-  
ლებელ გერმოგენთან და უთხრა: სწავლა იაკო-  
ბისა თვით თავის. ჭეშმარიტების დამამტკიცე-  
ბელია, ეს სასწაულითაც მტკიცდება და არა-  
ვითარს საშუალებას არ შეუძლია მისი და-  
ძლევაო. მოციქულის სწავლის სრულის გუ-  
ლით ჭეშმარიტებად ამღიარებელმა ფილიტ-  
მა გერმოგენსაც ურჩია შენ მასწავლებლო-  
ბას თავი დაანებე და იაკობს დაემოწაფეო,  
მაგრამ გერმოგენი უფრო უარესს ზვაო-  
ბასა და ჭედმალლობას დაადგა; მან თავისი  
ჯადოსნობით მოუწოდა არა წმიდა სულებს  
და უბრძანა ფილიტა დაიჭირეთ და ერთს  
ალაგას გააჩერეთ ისე, რომ განძრევა არ შეეძ-  
ლოსო. შემდეგ მიუბრუნდა ფილიტას და უთხ-  
რა: ვნახოთ, როგორ გადაგარჩენს შენი ია-  
კობიო. ფილიტმა საიდუმლოდ აცნობა ია-  
კობს ეს ამბავი. იაკობმა პირსახოცი გამოუ-  
გზავნა, რომ ხელში აეღო და თან ეთქვა ეს  
ფსალმუნის სიტყვები: „უფალმან განხსნის  
კრულნი, უფალმან აღმართნის დაცემულნი“  
(ფსალმ. 145, 8). ფილიტმა აღასრულა, რაც

მოციქულმა უბრძანა და არა წმიდა სულნი  
პირსახოცისა და ფსალმუნის სიტყვების ში-  
შით განქრნენ და დასტოვეს ფილიტა. მაშინ  
ფილიტმა დაცინვა დაუწყო თავის მასწავლე-  
ბელს ამპარტავანს გერმოგენს, თვითონ ია-  
კობთან წავიდა და დაუყოვნებლივ ნათელ-იღო  
მისგან. გერმოგენმა ვეღარ აიტანა ასეთი სირ-  
ცხვილი და დამცირება, აღივსო გულის წყრო-  
მით და უბრძანა მის მსახურ არა წმიდა სუ-  
ლებს, რომ შეეპყრათ იაკობი და ფილიტა  
და მასთან მიეყვანათ, მაგრამ როგორც მიუა-  
ხლოვდნენ არა წმიდა სულნი იმ სახლს,  
საღაც იაკობი და ფილიტა იყო, ღვთის  
ბრძანებით, ანგელოზმა უხილავად თვით იგი-  
ნივე შეჰქრა და დაუწყო ტანჯვა.— „შეგვი-  
ბრალე მოციქულო ქრისტესო იაკობ!“ დაი-  
წყეს ხმა-მაღლა ღაღადი არა წმიდა სულებ-  
მა. გერმოგენის ბრძანებით თქვენ შესაბურო-  
ბად მოვედით და ეხლა ჩვენ თვითონ შეგვ-  
კრეს და გვტანჯავენო. „განგათავისუფლოს  
თქვენ შემკვრელმან თქვენმან ანგელოსმან  
უფლისამანო,“ უთხრა მათ იაკობმა. ამასთან  
უბრძანა: „წაღით და გერმოგენი მომიუვანეთ  
აქა, მხოლოდ არავითარი ვნება არ შეამ-  
თხვიოთო.“ განთავისუფლებულმა არა წმი-  
და სულებმა იმ წამსვე შეასრულეს მოციქუ-  
ლის ბრძანება და გერმოგენი შეკრული მიჰ-  
გვარეს. იაკობმა უთხრა ფილიტას: „უფალ-

მა ბრძანა ბოროტის წილ კეთილის მიგება“, „ამიტომ განხსენ გერმოგენი და განათავისუფლე არა წმიდა სულებისაგანო“.

მოციქულმა ნება მისცა გერმოგენს წასულიყო სადაც მას თვითონვე სურდა, მაგრამ გერმოგენმა უპასუხა: „როგორც გამოვალ შენის სახლიდამ, მაშინვე მომკლავენ ბოროტნი სულნიო. მე კარგად ვიცი იმათი მძვინვარება და სისასტიქე. ვიცი რომ უშენოდ ვერ გადავრჩები იმათგანაო. წმ. მოციქულმა მისცა გერმოგენს თავისი ჯოხი, რომლითაც თვითონ დადიოდა ყოველთვის. გერმოგენი წავიდა ამ ჯოხით და არა წმიდა სულნი ვეღარ ბედავდენ მასთან მიკარებას. მაშინ სცნო გერმოგენმა ძალი ღვთისა და უძლურება ბოროტის სულებისა. მან შეჰკრიბა ყველა თავისი სამოვალ წიგნები და მიუტანა იაკობს, დაუვარდა მას ფერხთა წინ და ხმა ჰყო: „მსახურო ჭეშმარიტისა ღვთისაო და კაცთა სულის წარწყმედისაგან გამომხსნელო, შემიწყალე მე!“ „მიმიღე მე შენ მოწაფედ შენი განმარისხებელი და მტერად ყოფილი.“ გერმოგენმა დასწვა ყველა თავისი წიგნები და შეიქმნა მოწაფედ მოციქულისა. ქრისტეს სარწმუნოების შესწავლის შემდეგ გერმოგენი შეიქმნა გულმხურვალე მსახური ქრისტესი და მისი სახელით თვითონაც სასწაულებს იქმოდა.

ქრისტეს აღდგომისა და ამაღლების შემ-

დევ პილატე მთავარმა რომში ასეთი წერილი გაუგზავნა დიდ მეფე ტიბერია კეისარს:

— კაცი ვინმე ჯვარს აცვეს, სახელად ეწოდებოდა იესო ქრისტე. იგი მრავალ სახულს იქმოდა, მკვდრებს აღადგენდა და ზღვაზე ისე დადიოდა, როგორც ხმელეთზე. ყოველ ნაირ სხეულებას ერთი სიტყვის თქმით ჰკურნებდა. იმის ჯვარ-ცმის დროს მზე დაბნელდა, ქვეყანა შეიძრა, კლდენი განსკდნენ და საფლავებიდამ გაცოცხლებულნი მიცვალებულნი აღსდგენ და გამოცხადდენ. შემდეგ ჯვარცმისა დაპფლეს, ხოლო იგი მესამესა დღესა აღსდგა მკვდრეთით და ზეცას ამაღლდა. ასეთი დიდებული კაცი ურიებმა შურით შეიპყრეს, დასტანჯეს და მოპკლეს შენდა უბრძანებლად და ჩემდა უნებურად. ზოგიერთები ამბობენ, რომ იგი ღვთის შვილი იყო და ხალხის წარწყმედისათვის სწუხდაო. ამისათვის ქვეყანაზე მოვიდა, სიწმიდე და სიმართლე იქადაგა და ხალხი წმიდა და მართალ ცხოვრებაზე დაადგინა, თვითონ კი საიდგანაც გადმოვიდა იქვე ამაღლდა და სამუდამოდ მამასთანვე დიდებით მჯდომარე არისო. ამის გამო იმ ღვთის შვილის დამსჯელები იმის მკვდრეთით აღდგომის შემდეგ დიდ შიშა და სირცხვილში ჩავარდნენ, ხოლო იმის მორწმუნეთათვის-კი დიდი სიხარული იქმნა იმის აღდგომითა. მერე, როცა ამაღლ-

და, თავისს მოციქულებს ზეციდგან სული  
წმიდა გარდამოუვლინა და, როცა სული  
წმიდა მიიღეს, ყველა მოციქულებმა ყო-  
ველ ნაირ ენაზე ქადაგება დაიწყეს და მისი  
სახელით დიდ-დიდს სასწაულებს იქმოდენ.

ეს წერილი რო წაიკითხა ტიბერია კეი-  
სარმა, ძლიერ გაუკვირდა და ირწმუნა უფა-  
ლი იესო ქრისტე; მაშინვე მოიწადინა თავის  
სახელმწიფოში ბრძანების გაცემა, რომ უფა-  
ლი იესო ყველას ჭეშმარიტ ღმერთად ერ-  
წმუნებიათ, მაგრამ თავის ერის მთავრებმა და-  
უშალეს, რადგან იმათ ჯვარის სახელის ხსე-  
ნება ეჯავრებოდათ. ამის გამო კეისარმა  
ბრძანება აღარ გასცა, მხოლოდ თავის გუ-  
ლში კი დიდი სიყვარული ჩაინერგა იესო  
ქრისტესი. მას შემდეგ, რომელი კაციც იმის  
წინაშე ქრისტიანების ძვირს იტყოდა, იმას  
სატანჯველში აგდებდა. კეისარმა შეიტყო,  
რომ იროდი მთავარსაც მონაწილეობა მიუ-  
ღია უფლის სიკვდილით დასჯაშიო; ისიც  
იცოდა, რომ დიდი აღძრვა და შთოთი იყო  
ურიათა შორის მართალის კაცის წმ. იოანე  
ნათლის-მცემლის მოკვდისათვის, რომელიც  
იმავე იროდიმ მოაკლევინა. ამის გამო დიდად  
განრისხებული იყო კეისარი და, როცა გაიგო  
იესო ქრისტეს მკვლელობაშიაც მონაწი-  
ლეობა მიუღიაო, უფრო განურისხდა ირო-  
დის, მთავრობის ტახტიდგან გადმოაგდო

და ბრძანა, თავისის მექავის ცოლით ხელ-ფე-  
ხი შეუკარით და რომში გაგზავნეთო.

იქ რო შეპყრობილები მიიყვანეს, კეი-  
სარმა ხალხთა სიმრავლეში ორივენი შეარ-  
ცხვინა, მთავრობის ღირსება ახალა, გააშიშვ-  
ლა და მერე თავისი ბოროტის ცოლით ის-  
პანიაში გაგზავნა; იქ იროდი წყალმანკით  
დასნეულდა, მეტის ავად-მყოფობით მატლებ-  
მა შეჭამეს და წვალებით მოკვდა. მკვდარი  
იროდი მიწამ არ მიიღო. შემდეგ მხეცებმა  
და ფრინველებმა გაიტაცეს, შეჭამეს და გა-  
ნაბნიეს. იქ იმის ცოლსაც დიდი უბედურება  
დაემართა: მისი ბოროტი მაცეკვარი ქალი შვი-  
ლი გაყინულ ჯურლმული ტბის ნაპირას იყო,  
სიმღერის დროს ფეხი დაუსხლტა და შიგ  
ჩავარდა. ყინვამ ყელი მოსჭრა, ტანი ძირს  
ჩაეკიდა და თავი ზემოდ დარჩა. დედა მისი  
ხედავდა თავის ქალის უბედურებას და თავს  
დასტიროდა. ამ დროს იმისი სახლიდგან კაცე-  
ბი მოვიდენ ქალის ამოსაყვანად, მაგრამ ამო-  
ყვანის დროს თავი მოაგლიჯა და ტანი  
ძირს ჩასძირა. მერე მოწყვეტილი თავი დე-  
და მის მისცეს, დედამ თავისი შვილის თავი  
მუხლებზედ დაიდო, მწარედ სტიროდა და  
გოდებდა. ამ დროს ღვთის განგებით მიწა  
გასკდა და შიგ ჩავარდენ.

ტიბერია კეისარს თავის გამეფების დღი-  
დამ ოც-და სამი წელიწადი შეუსრულდა და

მერე გარდაიცვალა. იმის მაგივრად გაიოზი  
გამეფდა და ოთხი წელიწადი ისა ჰმართავ-  
და ქვეყანას. გაიოზი იყო უკეთური კაცი  
და ამასთან ძლიერ ამპარტავანი. ამ გაიოზ-  
მა იერუსალიმში პილატე დაჭერინა და დი-  
ღის შეურაცხ-ყოფით რომში გაგზავნა. ხო-  
ლო როდესაც რომში მიჰყავდათ, პილატემ  
ვეღარ აიტანა მეტის-მეტი შეურაცხ-ყოფა,  
დიდი გაჭივრება და წვალება, ამის გამო  
თავისის ხელითვე გზაში თავი მოიკლა.

ურიები უწინდელზე უფრო გადასდგენ  
ღვთისაგან, აშფოთდენ და აირ-დაირივნენ.  
ამ დროს რომაელები თავს დაეცნენ და აიკლეს  
იერუსალიმი, ძლიერ ბევრი ურიები ამო-  
სწყვიტეს, ბევრნი გაიქცნენ და ცოტანი გა-  
დარჩენ. მაშინ გაიოზ კეისარმა ურიასტანის  
მეფედ სხვა იროდი დაადგინა. ეს იროდი  
იყო ძე არისტობელესი. კეისარმა მას ჩააბარა  
ოთხივე სამთავრო ქვეყნები. ამ დროს ნე-  
ტარი მოციქული იაკობი წმიდა სახარებას  
ქადაგებდა, ასწავებდა იესო ქრისტეს მარადის  
ქალწულის მარიამისაგან შობასა, ჯვარცმას,  
დაფლვას, აღდგომას, ზეცად ამაღლებასა და  
არწმუნებდა ჭეშმარიტს ღვთაებასა მისსა.  
მთელ ურიასტანში და პალესტინაში ჰქადა-  
გებდა და სასუფეველსა ცათასა ახარებდა.

ეს ახლად დადგენილი იროდიც უკეთუ-  
რი კაცი იყო, რომელიც ძლიერ ბევრ ქრის-

ტიანეთა სისხლსა ღვრიდა და ღვთისა ჩვენისა  
იყსო ქრისტეს მოციქულებს ძლიერ სდე-  
ვნიდა და სატანჯველში აგდებდა. ამ იროდიმ  
შეიპყრო იაკობ მოციქულიცა, დაამწყვდია  
და ქადაგების საშვალება მოუსპო. ამასთან  
ძლიერ სასტიკად დასჯას ემუქრებოდა, მაგრამ  
მოციქულმა ყოველივე მისი ქადილი არა-  
ფრად არ შერაცხა. თავის საღმრთო მსახუ-  
რების აღსრულებისათვის მუდამ მტკიცე მო-  
სწრაფე იყო. ხოლო ამ უღმრთო და უსჯულო  
იროდი მეფემ მრავალფერი სატანჯველებით  
უწყალოდ დასტანჯა იაკობი. იაკობს მეტის-  
მეტი გვემითა ტყავი და ხორცი ძვალთაგან  
გადასძვრა, მაგრამ მისი გული მაინც ვერ  
შედრკა და ვერ შეირყა ქრისტეს სარწმუ-  
ნოებისაგან, ამისათვის უფრო განცოფდა.

ურწმუნო ებრაელებმა რო იხილეს მო-  
ციქულის ძალა, სასწაული და იმისი მოძღვ-  
რება, აღეგზნენ საშინელის შურითა და ბო-  
როტებით ქრისტიანების მიმართ. თავიანთ  
მეფეს იროდის ურჩიეს დევნა აღეძრა ქრი-  
სტიანეთა ეკკლესიებზე და იაკობიც მოეკ-  
ლათ. იროდიმ დაუწყო დევნა ქრისტიანებსა  
და უბრძანა მოციქულის იაკობისათვისაც  
თავი წარეკვეთათ (საქმე 12,1). როდესაც  
იაკობს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს,  
ერთმა იაკობის მეფესთან შემასმენელთაგან-  
მა, სახელად იოსიამ რო იხილა მოციქულის

სიმამაცე და უშიშროება, მიხვდა იგი მის უდანაშაულობას, სცნო ჭეშმარიტებად მისი მოძღვრება და ირწმუნა ქრისტე. მან უშიშრად აღიარა თავისი თავი ქრისტიანედ და ისიც იაკობთან ერთად სიკვდილით დასაჯეს. როცა სასჯელის ადგილას მიიყვანეს, იოსია მიუბრუნდა იაკობს და შესთხოვა, ეპატიებინა მისთვის უნებურად ჩადენილი დანაშაული.— „მშვიდობა შენთანა, უთხრა მას იაკობმა, თან გადაეხვია და ეამბორა; შემდეგ ორივემ თავი მოუღრიკეს მახვილს, წარკვეთეს და ერთად განისვენეს. ეს მოხდა ქრისტეს შობის მეორმოცდასამე წელს, ოც-და-ათს აპრილს.

სანატრელმა იაკობ მოციქულმა მრავალი იშრომა, იღვაწა და მთელი თავისი სრული სასოება უფალ იესო ქრისტეზე დასდვა და ყველა მოციქულებზე პირველიდ იგი ეწამა პირველ მოწამე სტეფანეს შემდეგ, რადგან უფალთან ისე ჰქონდა აღთქმა, რომ „შემიძლია იმ სასმელის სმა, რომელსაც შენ შესვამო.“ ქრისტეს სასმელის შესმაც ის იყო, რომ იმას მოელოდებოდა სიმართლი-სათვის ტანჯვა და წამება. იაკობიც თავის აღთქმისამებრ ეშურებოდა და მიისწრაფოდა, რომ სიმართლისათვის და ქრისტეს სიყვარულისათვის ტანჯვა-წამებასა და სიკვდილს მისცემოდა და უფალთან მკვიდრობა მიეღო; ამისთვის სიხარულით მისცა

თავისი თავი სასჯელსა, უფალთანავე დაიმკვიდრა და უფლისა-მიერ გვირგვინოსან იქმნა.

ამავე იროდიმ შეიძყრო დიდი მოციქული პეტრე და უნდოდა მოეკლა იგი, მაგრამ უფალმა ანგელოზის ხელით პყრობილობისაგან განათავისუფლა. ეს იროდი არ დასცხრა თავის უკეთურობისა და ბოროტ მოქმედებისაგან იქამდე, სანამ თვით უფალმა არ დასაჯა იგი მისის უკეთურებისათვის. გახდა ავად მოურჩენელის ავად-მყოფობითა, დალბა, დაწყლულდა და მატლებმა ცოცხლივ ჰესჭამეს და ბოროტი ბოროტად მოკვდა.

სხვა იროდი იყო, რომელმაც თოთხმეტი ათასი ჩვილი ყრმები დაახოცინა, სხვა იროდი იყო, რომელმაც ნათლის-მცემელი მოაკლევინა, სხვა იროდი იყო, რომელმაც ეს წმიდა მოციქული იაკობი, დე ზებედევსი, მოპკლა მახვილითა კესარია პალესტინის ქალაქში. წმიდა იაკობის გვამი იმისმა მოწაფეებმა ამავე კესარია-პალისტინის ქალაქში დაასაფლავეს და ვიდრე აქამომდე იმის მიერ სრულდება სასწაული კურნებისა. წმ. ეკკლესია იხსენიებს მას ყოველ ოც-და-ათ აპრილს.

### ტრაპარი, ხმა 8.

მოციქულო წმიდაო იაკობ ეველრე მოწყალესა ღმერთსა, რათა ცოდვათა შენდობა მოგვანიჭოს და სულთა ჩვენთა. დიდი წყალობა-

### პონდაპი, ხმა 8

ხმისა საღმრთოსა მსმენელმან მწოდებელისა შენისამან სიყვრული მამისა შეურაცხ-პყავ და მირბიოდა ქრისტეს იაკობ ძმისა შენისთანა დიდებულო, რომლისთანა ღირს იქმნენ. ხდება უფლოსთა საღმრთოსა ფერის-ცვალებასა.

